

-

სუბროგაციის პრინციპი სადაზღვევო
ურთიერთობებში და მისი შედარებითი
ანალიზი

ქეთევან ახოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: (გიორგი გლაზოვი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:

ქეთევან ახოზაძე

აბსტრაქტი

დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი, რეალური ხელშეკრულებაა. დღესდღეისობით ყველაფრის დაზღვევა შესაძლებელი სიცოცხლის,ჯანმრთელობის, საკუთრების და ა.შ. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დაზღვევა ძალიან აქტუალური და შესაბამისად განვითარებადი ინსტიტუტია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე განვიხილო სადაზღვევო სამართალში არსებული ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტი სუბროგაცია. შევეცდები განვმარტო მისი როლი ზოგადად სადაზღვევო სამართალში, ვისაუბრებ მასზე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრებასთან თავის არიდების საშუალებაზე. ნაშრომში გავაკეთებ შედარებას სუბროგაციასა და მის მსგავს ინსტიტუტებს შორის. ყველა ქვეყნის სამართალს სხვადასხვა შეხედულება აქვს სუბროგაციაზე, შესაბამისად ნაშრომში მსჯელობა იქნება ამ განსხვავებულ შეხედულებებზეც. განხილული იქნება სუბროგაციასთან დაკავშირებული პრობლემები და ხარვეზები და შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება მსჯელობა მათი გადაჭრის გზებზეც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზღვევა, სუბროგაცია, უსაფუძვლო გამდიდრება.

Abstract

Insurance agreement is bilateral, based on payment and real contract. Nowadays everything can be insured: life, health, property, etc. In Georgia as well as around the world insurance is very actual and emerging institution. That is why I decided to discuss one of the most important institution of insurance law-Subrogation. I'll try to clarify general it's role in insurance law, talk about it, as a means of avoiding undue enrichment. In this paper I'll do comparison between subrogation and similar institution. All countries have different views on subrogation, accordingly these different views will be discussed at present paper. Problems and shortcomings concerning to subrogation and it's solving ways will be examined as well.

Key words: Insurance, Subrogation, Undue enrichment